ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

1. ზოგადი დებულებები

1.1 ბიბლიოთეკა არის ახალი უმაღლესი სასწავლებლის (შემდგომში - სასწავლებელი) სტრუქტურული ერთეული. მის გამართულ და ეფექტურ საქმიანობაზე პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

1.2 ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლებასა და წინამდებარე წესის განხორციელებას უშუალოდ უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარი.

2. დარბაზი, საცავი, ინვენტარი

ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი; სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და უზრუნველყოფილია კომპიუტერით, ინტერნეტით, პრინტერით, ქსეროქსით და სკანერის აპარატით სარგებლობის შესაძლებლობა.

3. ფონდი

ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი სრულად შეესაბამება სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. ლიტერატურის ელექტრონული საძიებელი (კატალოგი) განთავსებულია ვებ-გვერდზე.

4. ხელმისაწვდომობა

1. ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცე განთავსებულია სასწავლებლის შენობის პირველ და მეორე სართულზე და მისით სარგებლობა ადვილად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის.

2. ბიბლიოთეკა დაკავშირებულია და თანამშრომლობს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებთან და ორგანიზაციებთან. სტუდენტებსა და პროფესორებს შეუძლიათ, ისარგებლონ მათი ელექტრონული რესურსებით (ვრცლად იხილეთ ვებგვერდზე: "ბიბლიოთეკა").

5. სამუშაო რეჟიმი

ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში 6 დღე 60 საათი, ორშაბათი - შაბათის ჩათვლით.

6. წევრად დარეგისტრირება

1. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია სასწავლებლის ყველა სტუდენტს, აკადემიურ/მოწვეულ/ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალს.

2. სასწავლებლის ყველა აქტიური სტუდენტი ითვლება დარეგისტრირებულ წევრად და შეუძლია შეუფერხებლად მიიღოს ბიბლიოთეკით შეთავაზებული ყველა სერვისი.

3. სასწავლებლის აკადემიური/მოწვეული/ადმინსიტრაციული/დამხმარე პერსონალი დაწესებულებასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში

ითვლება ბიბლიოთეკაში დარეგისტრირებულ წევრად და შეუძლია მიიღოს ბიბლიოთეკით შეთავაზებული ყველა სერვისი.

7. წიგნის გატანა-დაბრუნება

1. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს წიგნების ელექტრონული კატალოგი, რომელიც განთავსებულია სასწავლებლის ვებ-გვერდზე. აღნიშნულ კატალოგში წიგნის მოძიების შემდეგ, მომხმარებელს შეუძლია დაჯავშნოს სასურველი წიგნი და გაიტანოს ის.

2. ბიბლიოთეკიდან წიგნის მიღება შესაძლებელია ადგილზეც, ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით.

2. ბიბლიოთეკიდან წიგნით სარგებლობა შესაძლებელია 48 საათით.

3. გატანილი წიგნის უკან დაბრუნების ვადის ამოწურვისთანავე, მკითხველი ვალდებულია, დაუბრუნოს იგი ბიბლიოთეკას. თუ მკითხველი დამატებით კვლავ საჭიროებს ვადის გაგრძელებას, შეუძლია, ხელახლა გაიტანოს წიგნი ერთი კვირის ვადით, იმ შემთხვევაში, თუ არ შემოსულა სხვა განაცხადი;

4. ბიბლიოთეკარი, რომელიც გასცემს წიგნს, დარბაზში სამუშაოდ ან წასაღებად, ვალდებულია, მკითხველთან ერთად შეამოწმოს მისი ვარგისიანობა, საჭიროების შემთხვევაში შეადგინოს შესაბამისი აქტი და მოითხოვოს იმავე სახით დაბრუნება;

8. კომპიუტერით სარგებლობა

1. ბიბლიოთეკის აუდიო-ვიზუალური ტექნიკით (კომპიუტერებით) სარგებლობისთვის, მკითხველი მიმართავს ბიბლიოთეკარს შესაბამისი მასალის მისაღებად;

2. იმ შემთხვევაში, თუ მკითხველი არ ფლობს აუდიო-ვიზუალური ტექნიკით სარგებლობის ჩვევებს, ბიბლიოთეკარი ვალდებულია, დაეხმაროს;

3. კომპიუტერით სარგებლობისას დაშვებულია:

- ტექსტების შეყვანა და რედაქტირება;
- ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა;
- ლიტერატურაზე მუშაობა ელექტრონული ვერსიებით;
- დისკების, მეხსიერების ფლეშ-ბარათების, დისკეტების გამოყენება დასაშვებია ბიბლიოთეკართან შეთანხმებით;
- ელექტრონული ფოსტით სარგებლობა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდით სარგებლობა;
- სასწავლო პროგრამებზე მუშაობა.

4. მკითხველს შეუძლია ფონდში არსებული ელექტრონული, ვიდეო, აუდიო და ბეჭდური მასალებით სარგებლობა (დაშვებულია ბეჭდური მასალის ასლის გადაღება);

9. ქცევის ნორმები და პასუხისმგებლობა

1. დაუშვებელია საბიბლიოთეკო ერთეულის - ბეჭდური დოკუმენტის ან ციფრული მატარებლის დაზიანება. დაზიანების შემთხვევაში, ბიბლიოთეკარი ადგენს აქტს, ხოლო ადმინისტრაცია განსაზღვრავს ფინანსურ სანქციას იმის გათვალისწინებით, თუ რა ოდენობის თანხაა საჭირო მის აღსადგენად ან ახლის შესაძენად. მკითხველი ვალდებულია, გადაიხადოს დადგენილი საზღაური;

2. საბიბლიოთეკო ერთეულის დაკარგვის შემთხვევაში, უნდა შედგეს შესაბამისი აქტი მისი ღირებულების მინიშნებით;

3. დაკარგული ან დაზიანებული ერთეულის ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით, რასაც დაემატება ფინანსური სანქციით დადგენილი ღირებულება, ძირითადი ფასის არაუმეტეს 100%-ისა.

4. სამკითხველო დარბაზში დაუშვებელია თამბაქოს მოწევა, ხმამაღალი საუბარი, მობილური ტელეფონის გამოყენება. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბიბლიოთეკარს უფლება აქვს, მოითხოვოს სამკითხველო დარბაზის დატოვება.